B16152736
გადახდის ნომერი: **EN1284710**
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: **B16152736**
განცხადების რეგისტრაციის დრო: 07/11/2016 16:43:37
განცხადების ნომერი: 1284710
განცხადების მიღების დრო: 07/11/2016 16:29:09

# განცხადების მიღების ბარათი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება ( განმცხადებელი: სალომე ხუციშვილი/01024062370/ ), რომლითაც მოთხოვნილია ახალი სუბიექტის რეგისტრაცია.

სამართლებრივი ფორმა: **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურ. პირი**
დასახელება: **სოციალურ საწარმოთა ალიანსი**

**თანდართული დოკუმენტაცია:**

- წესდება
- დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- პარტნიორების პირადობის/მ ასლები გამგეობის სხდომის ოქმი წევრთა საერთო კრების ოქმი მინდობილობა N2-924

მომსახურება: 1 დღის ვადაში 100 + 5*3 ლარი

---

მომსახურების ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ სარეგისტრაციო წარმოების დასრულების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ სარეგისტრაციო წარმოება სრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

თუ განცხადების რეგისტრაციისას მითითებული გაქვთ თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი, სარეგისტრაციო წარმოების დასრულების შესახებ ინფორმაციას თქვენ მიიღებთ უფასო **SMS**–ის საშუალებით.

სარეგისტრაციო სამსახურში მობრძანებამდე თქვენ შეგიძლიათ წინასწარ მიიღოთ ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა თქვენი სარეგისტრაციო განცხადების განხილვა.

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე **www. napr.gov.ge** ;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე **www. napr.gov.ge** , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: **2 405405** ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე **2 405405** ;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: **08 009 009 09**
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: **info@napr.gov.ge**

1284710
გადახდის ნომერი: EN1284710

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს

განმცხადებელი: **სალომე ხუციშვილი**
პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი: **01024062370**
საცხოვრებელი / იურიდიული მისამართი: **საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაშლიჯვრის დასახლება, კორპუსი 12, ბინა 44**

# განცხადება

მოვითხოვ, რომ მოახდინოთ ახალი სუბიექტის რეგისტრაცია

სამართლებრივი ფორმა: **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურ. პირი**
დასახელება: **სოციალურ საწარმოთა ალიანსი**

გთხოვთ, "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის $4^1$ პუნქტის შესაბამისად,
ელ-ფოსტა: **social.enterprise.ge@gmal.com**
დაარეგისტრიროთ, როგორც სუბიექტის იურიდიული მისამართი, რომელზე/რომლებზეც გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად ჩაბარებულ შეტყობინებად

**თანდართული დოკუმენტაცია:**
- წესდება
- დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- პარტნიორების პირადობის/მ ასლები გამგეობის სხდომის ოქმი წევრთა საერთო კრების ოქმი მინდობილობა **N2-924**

გთხოვთ უზრუნველყოთ საწარმოს ანგარიშის გახსნა შემდეგ ბანკ(ებ)ში:

- ☐ TBC ბანკი
- ☐ ლიბერთი ბანკი
- ☐ საქართველოს ბანკი
- ☐ ვითიბი ბანკი ჯორჯია
- ☐ ბანკი ქართუ

განაცხადზე ხელმოწერით, გამოვხატავ თანხმობას, რომ ბანკმა ინფორმაცია საწარმოს ანგარიშის გახსნის შესახებ მიაწოდოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

**სუბიექტის საკონტაქტო ინფორმაცია**
ელ-ფოსტა: **social.enterprise.ge@gmal.com**

მომსახურება : 1 დღის ვადაში 100 + 5*3 ლარი

განმცხადებელი პირი: ------------------------------------/ სალომე ხუციშვილი /

განცხადების წარდგენის თარიღი: 07/11/2016 16:29:09

არასამეწარმეო იურიდიული პირი ,,სოციალურ საწარმოთა ალიანსი''

# წ ე ს დ ე ბ ა

## თავი I. ზოგადი დებულებები

### მუხლი 1. სახელწოდება, სტატუსი და ოფიციალური რეკვიზიტები

1. ,,სოციალურ საწარმოთა ალიანსი'' (შემდგომში ,,ორგანიზაცია''), წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

2. ორგანიზაციის დაფუძნება განხორციელდა 2016 წლის 7 ნოემბერს.

3. ორგანიზაცია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე წესდებით.

4. ორგანიზაციას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები ბანკებში, ემბლემა, ლოგოტიპი, ბეჭედი თავისი სახელწოდებით, შტამპები, ბლანკები და სხვა საჭირო ატრიბუტები.

5. ორგანიზაცია თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, ასევე, მის ფარგლებს გარეთ.

6. ორგანიზაციის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, დელისის 1-ლი შესახვევი, 5ა. ორგანიზაციის საკონტაქტო ელ - ფოსტის მისამართი - social.enterprise.ge@gmail.com

7. ორგანიზაცია იქმნება განუსაზღვრელი ვადით.

### მუხლი 2. ორგანიზაციის დამფუძნებელი და საწყისი ქონება

1. ორგანიზაციის დამფუძნებლები არიან შემდეგი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები:
   1. ა(ა)იპ საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია (ს/კ 404489709);
   2. შპს ავტო ლაიფი (ს/კ 212918896);
   3. შპს სოციალური საწარმო ფარშევანგი (ს/კ 412700279);
   4. შპს სოციალური საწარმო იკორთა (ს/კ 436037352);

საჯარო რეესტრ... თარიღი "___" გამოცემა...

5. ა(ა)იპ რეალური ცვლილებებისთვის (ს/კ 405072745);
6. ა(ა)იპ სოციალურ საწარმოთა და მეწარმეთა ასოციაცია (ს/კ 404493204);
7. ა(ა)იპ ფონდი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (ს/კ 204873618).

2. ორგანიზაცია, თავისი მიზნების მისაღწევად, უფლებამოსილია, იღებდეს შემოწირულობებს და გრანტებს მისი საქმიანობით დაინტერესებული საქართველოს და უცხოეთის ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, რომლებსაც სურვილი აქვთ, თავიანთი წვლილი შეიტანონ ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების განხორციელების საქმეში.

3. ორგანიზაცია უფლებამოსილია, წინამდებარე წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, ეწეოდეს დამხმარე სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგება უნდა მოხმარდეს აღნიშნული მიზნების რეალიზებას.

4. შემოწირულობები შესაძლოა, გამოყენებულ იქნას ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად, ასევე ისეთი სახის ეკონომიკური საქმიანობის საწარმოებლად, რომლის მიზანია შემოსავლის გენერირება ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობისა და საწესდებო მიზნების რეალიზებისათვის.

## თავი II ორგანიზაციის მიზნები და საქმიანობა

### მუხლი 3. ორგანიზაციის მიზნები

1. ორგანიზაციის ძირითადი მიზნებია:

ა) სოციალური მეწარმეობის კონცეფციის და განვითარების ხელშემწყობი გარემოს შესაქმნელად მნიშვნელოვანი საკითხების ადვოკატირება და ლობირება;

ბ) საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება სოციალურ მეწარმეობის შესახებ, საქმიანობის პოპულარიზაცია;

გ) სოციალურ საწარმოთა მდგრადობისა და ინსტიტუციური გაძლიერების ხელშეწყობა, მათ შორის, მათი შესაძლებლობების ზრდა, გაყიდვებისა და პროდუქციის განვითარების ხელშეწყობა, სამართლებრივი, საკონსულტაციო და სხვა სახის მხარდაჭერა;

დ) წევრ სოციალურ საწარმოთა წარმოდგენა მესამე პირებთან, მათ შორის, სამინისტროებთან, კერძო სექტორთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ბიზნეს ფორუმებზე და სხვ.;

ე) სოციალურ მეწარმეებს, ადმინისტრაციულ ორგანოებსა და კერძო სექტორს შორის ეფექტური დიალოგის ხელშეწყობა, მათ შორის, კომუნიკაციის ახალი პლატფორმების შექმნის წახალისება;

ვ) სოციალურ საწარმოებს შორის ურთიერთდახმარების ჰორიზონტალური სქემის განვითარება;

ზ) სოციალურ საწარმოებს შორის თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაზიარების ახალი მექანიზმების ამოქმედება;

თ) უცხოეთში მოქმედ სოციალურ საწარმოებთან და მათ გაერთიანებებთან კავშირების დამყარება და თანამშრომლობა;

ი) საქველმოქმედო საქმიანობის წარმოება;

## მუხლი 4. ორგანიზაციის საქმიანობა

1. დასახული მიზნების მისაღწევად, ორგანიზაცია:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი ფორმით, უფლებამოსილია, განახორციელოს სოციალური მეწარმეობის განვითარებისა და წახალისებისაკენ მიმართული ღონისძიებები;

ბ) მონაწილეობას ღებულობს ან თავად ახორციელებს საქართველოში სოციალური მეწარმეობის ხელშემწყობი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებების ადვოკატირებას;

გ) ეწევა სამეცნიერო, საგანმანათლებლო, საექსპერტო, ანალიტიკურ და საკონსულტაციო საქმიანობას;

დ) ადგენს ანგარიშებს საქართველოში სოციალური მეწარმეობის სამოქმედო გარემოსა და წამახალისებელი მექანიზმების შესახებ;

ე) შეიმუშავებს პოლიტიკის დოკუმენტებს, კვლევით ნაშრომებსა და რეკომენდაციებს;

ვ) შეიმუშავებს და ექსპერტიზას უწევს კანონპროექტებს, მათ შორის, სოციალური მეწარმეობის სფეროში;

ზ) ქმნის ქსელებს, პლატფორმებს და სხვა ინსტიტუციურ სივრცეებს სოციალური მეწარმეობის ადვოკატირებისა და სხვადასხვა სექტორებს შორის დიალოგის ხელშეწყობისა და საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით;

თ) მონაწილეობს საჯარო პოლიტიკის ფორმირებაში და ახორციელებს პოლიტიკის ანალიზს;

ი) უფლებამოსილია, წარმოადგინოს სხვადასხვა ფიზიკური ან/და იურიდიული პირები სახელმწიფო და ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებთან, სასამართლოსა და კერძო არბიტრაჟში. ასევე, განახორციელოს მათი უფლებების დაცვა და წარმომადგენლობა კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან.

კ) ხელს უწყობს საქართველოში სოციალური მეწარმეებისა და სფეროთი დაინტერესებული სხვა ორგანიზაციების საქმიანობის გაძლიერებასა და შესაბამისი ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების აქტიურობას;

ლ) უფლებამოსილია, შექმნას ბეჭდვითი და სხვა საგამომცემლო ორგანოები და ეწევა საწესდებო მიზნებთან დაკავშირებულ მთარგმნელობით და საგამომცემლო საქმიანობას;

მ) მართავს სემინარებს, კონფერენციებს, სიმპოზიუმებს და დისკუსიებს. ასევე, ატარებს ტრენინგებსა და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებს;

ნ) ხელს უწყობს სოციალური მეწარმეობის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას;

ო) ამყარებს კავშირებს სამოქალაქო საზოგადოების როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

პ) ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას, მათ შორის, უფლებამოსილია, გასცეს გრანტები და სტიპენდიები;

ჟ) უფლებამოსილია განახორციელოს დამხმარე ეკონომიკური/სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც ემსახურება ორგანიზაციის საწესდებო მიზნების განხორციელებას და მათ ფინანსურ უზრუნველყოფას;

რ) ეწევა სხვა საქმიანობას, რაც არ არის აკრძალული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და მიმართულია ორგანიზაციის მისიის ან მიზნების მიღწევისაკენ.

ემენტო
201 წ.
საჯარო რეე
თარიღი "
გამოყენება

თავი III ორგანიზაციის წევრობა, მართვა, ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

მუხლი 5. ორგანიზაციის წევრობა და წევრად მიღება

1. ორგანიზაციას ჰყავს წევრები. ორგანიზაციის წევრები იყოფიან სრულუფლებიან, ასოცირებულ და საპატიო წევრებად.

2. სრულუფლებიანი წევრი, წევრთა საერთო კრებაში მონაწილეობს გადამწყვეტი ხმის უფლებით. ასოცირებული და საპატიო წევრები საერთო კრებაში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით.

3. გადამწყვეტი ხმის უფლება გულისხმობს საერთო კრების მიერ განსახილველი საკითხის გადაწყვეტისას კენჭისყრაში მონაწილეობას.

4. სათათბირო ხმის უფლება გულისხმობს საერთო კრებაზე საკუთარი აზრის გამოთქმის უფლებას განსახილველი საკითხის შესახებ, მონაწილეობას დისკუსიაში და დიალოგში, მასალების, არგუმენტებისა და სხვადასხვა დოკუმენტების წარდგენის უფლებას. თუმცა, ეს უფლება არ მოიცავს საერთო კრების მიერ საკითხის გადაწყვეტისას კენჭისყრაში მონაწილეობას.

5. ორგანიზაციის დამფუძნებლები ამავე დროს არიან ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრები, რომლებიც სარგებლობენ გადამწყვეტი ხმის უფლებით.

6. ორგანიზაციის წევრი შეიძლება გახდეს მხოლოდ იურიდიული პირი. ორგანიზაციის წევრი იურიდიული პირი საერთო კრებაზე წარმოდგენილია უფლებამოსილი წარმომადგენლის (ხელმძღვანელის) ან ხელმძღვანელის მიერ მინდობილი პირის სახით.

7. ორგანიზაციაში წევრად მიღების საკითხს წყვეტს გამგეობა უახლოეს სხდომაზე. წევრად მიღებისას, გამგეობამ უნდა გადაწყვიტოს პირი მიიღება სრულუფლებიან, ასოცირებულ თუ საპატიო წევრად.

8. ორგანიზაციის სრულუფლებიანი, ასოცირებული და საპატიო წევრობის კრიტერიუმებს განსაზღვრავს გამგეობა. ამასთან, სრულუფლებიან წევრს უნდა ჰქონდეს სოციალური მეწარმეობის სფეროში პროექტების განხორციელების ან სოციალურ მიზნებზე ორიენტირებული ეკონომიკური საქმიანობის, მინიმუმ, ორწლიანი გამოცდილება;

9. ორგანიზაციის არსებობის არც ერთ პერიოდში, სრულუფლებიან წევრთა საერთო რაოდენობა არ უნდა იყოს 8-ზე ნაკლები. თუ ამ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სრულუფლებიან წევრთა რაოდენობა შემცირდა იმგვარად, რომ გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე წევრთა რაოდენობა 8-ზე ნაკლებია, 1 კვირის ვადაში მოიწვევა წევრთა საერთო კრება და აირჩევა ახალი წევრი.

10. ორგანიზაციის წევრობის მსურველი იურიდიული პირი, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე წესდებითა და გამგეობის მიერ დადგენილ წევრობის კრიტერიუმებს, წერილობითი განცხადებით მიმართავს გამგეობას წევრად მიღების თაობაზე. განცხადების ფორმას ამტკიცებს გამგეობა.

11. ორგანიზაციის სრულუფლებიანი და ასოცირებული წევრები ორგანიზაციის სასარგებლოდ იხდიან საწევრო შენატანებს, რომლის ზუსტი ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება გამგეობის მიერ. სრულუფლებიანი წევრების საწევრო გადასახადი არ უნდა იყოს თვეში 20 ლარზე ნაკლები, ხოლო ასოცირებული წევრებისა - თვეში 10 ლარზე ნაკლები.

**მუხლი 6. ორგანიზაციის წევრობის შეწყვეტა**

1. ორგანიზაციის წევრს, მათ შორის, დამფუძნებელ (სრულუფლებიან) წევრს, უფლებამოსილება უწყდება:

ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;

ბ) წევრი იურიდიული პირის ლიკვიდაციის დაწყებისას;

გ) წევრი იურიდიული პირის სახელმწიფო რეგისტრაციის გაუქმებისას;

ე) გამგეობის გადაწყვეტილებით, წევრის გარიცხვისას;

2. ის ფიზიკური პირი, რომელიც ფაქტობრივად ახორციელებს ორგანიზაციის წევრის უფლება-მოვალეობებს, როგორც წევრი იურიდიული პირის წარმომადგენელი, წყვეტს აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებას იმ მომენტიდან, როდესაც ის აღარ არის დაქირავებული ასეთი იურიდიული პირის მიერ.

3. პირის ორგანიზაციის წევრობიდან გარიცხვის საკითხს განიხილავს გამგეობა.

მუხლი 7. ორგანიზაციის წევრობიდან გარიცხვა

1. ორგანიზაციის წევრის, მათ შორის, სრულუფლებიანი წევრის გარიცხვის საკითხს წყვეტს გამგეობა.

2. ორგანიზაციის წევრობიდან პირი შეიძლება გაირიცხოს:

ა) მის მიერ ისეთი ქმედების განხორციელების შემთხვევაში, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის წესდების მიზნებთან ან საფრთხეს უქმნის ორგანიზაციის რეპუტაციას ან ზიანს აყენებს ორგანიზაციასა და მის მიერ წარმოებულ საქმიანობას;

ბ) თუ სრულუფლებიანი წევრის წარმომადგენელი ზედიზედ არ დაესწრება 3 საერთო კრებას ან 2 წლის განმავლობაში 5 საერთო კრებას ჯამში; ამ პუნქტით გათვალისწინებული წესი არ მოქმედებს თუ წევრი სხდომამდე არაუგვიანეს 1 დღისა წერილობით განაცხადებს პატივსადები მიზეზის შესახებ;

გ) თუ წევრი უხეშად დაარღვევს ორგანიზაციის ეთიკის კოდექსს;

დ) თუ წევრი ორგანიზაციის ინტერესების საწინააღმდეგოდ იყენებს მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას;

ე) თუ წევრი არამართლზომიერად აფერხებს ორგანიზაციის გამართულ ფუნქციონირებას, მის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას ან ორგანიზაციის მიერ წარმოებული პროგრამის ან პროექტის განხორციელებას;

ვ) ორგანიზაციის წევრის მიერ ზედიზედ ექვსი თვის განმავლობაში საწევროს გადაუხდელობის შემთხვევაში, გამგეობა ვალდებულია, გარიცხოს წევრი გამგეობის მორიგ სხდომაზე, თუ ამ დროისთვის წევრი სრულად არ დაფარავს დავალიანებას.

მუხლი 8. ორგანიზაციის წევრთა უფლება-მოვალეობანი

1. ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრს უფლება აქვს:

ა) წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობდეს ორგანიზაციის საერთო კრების მუშაობაში და ისარგებლოს ერთი გადამწყვეტი ხმის უფლებით;

ბ) აირჩიოს ორგანიზაციის მმართველობითი ორგანოები;

გ) სათათბირო ხმის უფლებით, თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, მონაწილეობდეს გამგეობის სხდომებში;

დ) მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირებისაგან ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ;

ე) მონაწილეობა მიიღოს ორგანიზაციის მიერ წარმოებული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში;

ვ) მონაწილეობა მიიღოს ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში, მათ შორის, ადვოკატირების კამპანიებში, კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებში, ფორუმებსა და გამოფენებში;

ზ) მიიღოს სრულუფლებიანი წევრისათვის ორგანიზაციის მიერ შემუშავებული მომსახურებები და შეღავათები, რომელთა ზუსტი აღწერილობა და შინაარსი მტკიცდება გამგეობის მიერ;

თ) ორგანიზაციის მიზნების შესაბამისად, შესაძლებლობის ფარგლებში, ისარგებლოს ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ინფორმაციით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;

ი) განახორციელოს ამ წესდებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი;

**2. ორგანიზაციის ასოცირებულ წევრს უფლება აქვს:**

ა) წარმომადგენილს მეშვეობით მონაწილეობდეს ორგანიზაციის საერთო კრების მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით;

ბ) შესაძლებლობების შესაბამისად, მონაწილეობდეს ორგანიზაციის პროგრამულ საქმიანობაში;

გ) გამოითხოვოს ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის, სტრატეგიული მიმართულებებისა და წარმოებული პროგრამების/პროექტების შესახებ;

დ) ორგანიზაციის მიზნების შესაბამისად, შესაძლებლობის ფარგლებში, ისარგებლოს ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ინფორმაციითა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;

ე) მონაწილეობა მიიღოს ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში, მათ შორის, ადვოკატირების კამპანიებში, კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში;

ვ) მიიღოს ასოცირებული წევრისათვის ორგანიზაციის მიერ შემუშავებული მომსახურებები და შეღავათები, რომელთა ზუსტი აღწერილობა და შინაარსი მტკიცდება გამგეობის მიერ.

ზ) განახორციელოს ამ წესდებით ასოცირებული წევრისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი;

3. ორგანიზაციის საპატიო წევრს უფლება აქვს:

ა) გამგეობის გადაწყვეტილებით, წარმოადგინოს ორგანიზაცია სახელმწიფო დაწესებულებების, კერძო სამართლის იურიდიული პირებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე. მათ შორის, ორგანიზაციის სახელით გააკეთოს განცხადებები კონფერენციებზე, ადვოკატირების კამპანიებისა და სხვა მსგავსი ღონისძიებების მიმდინარეობისას;

ბ) გამოითხოვოს ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის, სტრატეგიული მიმართულებებისა და წარმოებული პროგრამების/პროექტების შესახებ;

გ) მიიღოს მონაწილეობა ორგანიზაციის მიერ წარმოებულ კამპანიებსა და სხვა ღონისძიებებში;

დ) განახორციელოს ამ წესდებით საპატიო წევრისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი;

4. ორგანიზაციის წევრი მოვალეა:

ა) დაიცვას ორგანიზაციის წესდება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი და მმართველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;

ბ) გაუფრთხილდეს ორგანიზაციის რეპუტაციას, ავტორიტეტსა და ქონებას;

გ) შესაძლებლობების შესაბამისად, მონაწილეობდეს ორგანიზაციის საქმიანობაში;

დ) მისი უფლებამოსილებების განხორციელებისას ხელმძღვანელობდეს ორგანიზაციის წესდებით და მისი ქმედებები მიმართული იყოს საწესდებო მიზნების განხორციელებისაკენ.

ე) არ განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს ან აფერხებს ორგანიზაციის საქმიანობას;

ვ) შეასრულოს ამ წესდებით გათვალისწინებული სხვა მოვალეობები.

მუხლი 9. წევრთა საერთო კრება

1. ორგანიზაციის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს წევრთა საერთო კრება.

2. წევრთა საერთო კრება:

ა) ირჩევს ორგანიზაციის გამგეობის წევრებს; ასევე, ირჩევს ორგანიზაციის აღმასრულებელ დირექტორს, თუ გამგეობა ვერ ახერხებს მის არჩევას.

ბ) უფლებამოსილია, შეიტანოს ცვლილებები ან/და დამატებები ორგანიზაციის წესდებაში;

გ) ყოველწლიურად ან/და კრების გადაწყვეტილებით, ნებისმიერ დროს, განიხილავს ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ანგარიშს;

დ) უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გამოითხოვოს ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტი.

ე) წყვეტს ორგანიზაციის მრჩეველთა საბჭოს შექმნის საკითხს და აკომპლექტებს მას;

ვ) წესდებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, უფლებამოსილია, დაითხოვოს გამგეობა და აირჩიოს მისი ახალი შემადგენლობა.

ზ) ახორციელებს წესდებით საერთო კრებას მიკუთვნებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. თუ გამგეობა, გამგეობის ორ სხდომაზე ზედიზედ, ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას აღმასრულებელი დირექტორის არჩევის თაობაზე ან ისეთ საკითხზე, რომელიც არსებითად მნიშვნელოვანია ორგანიზაციის მიზნების განხორციელების ან/და ფუნქციონირებისათვის, წევრთა საერთო კრება უფლებამოსილია, დაითხოვოს გამგეობა;

3. წევრთა საერთო კრება, ასევე უფლებამოსილია, დაითხოვოს გამგეობა, თუ გამგეობის მოქმედი შემადგენლობა:

ა) ჯეროვნად ვერ ახორციელებს წესდებით მათზე დაკისრებულ მოვალეობებს; ან

ბ) გადაწყვეტილებისუუნაროა; ან

გ) არღვევს ორგანიზაციის წესდებას; ან

დ) აფერხებს ორგანიზაციის საქმიანობას ან საწესდებო მიზნების განხორციელებას;

ე) ორგანიზაციის ფინანსები არამიზნობრივად დაიხარჯა;

ისტრო
ბაზები
201 წ.
საჯარო რე
თარიღი

4. წევრთა საერთო კრებას გამგეობის დათხოვნის უფლება, აგრეთვე, აქვს მრჩეველთა საბჭოს შესაბამისი რეკომენდაციის საფუძველზე;

5. წევრთა საერთო კრება იკრიბება წელიწადში ერთხელ მაინც. საერთო კრების მოწვევის ინიცირების უფლება ასევე აქვთ მრჩეველთა საბჭოს, გამგეობას, აღმასრულებელ დირექტორს, არანაკლებ 3 სრულუფლებიან წევრს, ასოცირებული წევრების 25% ან დამფუძნებელს.

6. კრების მოწვევის შესახებ ინფორმაცია წევრებს ეგზავნებათ ფოსტით, ელ-ფოსტით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით. იმ შემთხვევაში, როდესაც კრების დღის წესრიგი ითვალისწინებს წესდების ცვლილებას, გამგეობის წევრის არჩევის ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ორგანიზაციის ახალი წევრის ან აღმასრულებელი დირექტორის არჩევის/უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხებს, წევრებს ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ ისეთი ფორმით, რომელიც იძლევა საშუალებას, დადასტურდეს მათ მიერ ამ ინფორმაციის მიღების ფაქტი.

7. ორგანიზაციის წევრი ვალდებულია, ორგანიზაცია უზრუნველყოს მისი საკონტაქტო მონაცემებით, ხოლო მონაცემების ცვლილების შემთხვევაში შეატყობინოს აღმასრულებელ დირექტორს 2 კვირის ვადაში. წევრის მიერ მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე გაგზავნილი ინფორმაცია ითვლება წევრისთვის მიწოდებულად.

8. წევრთა კრების სავარაუდო დღის წესრიგი ეგზავნება წევრებს და მას სხდომაზე ამტკიცებს კრება;

9. წევრთა საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრულუფლებიანი წევრების უმრავლესობა. კრება გადაწყვეტილებას ღებულობს დამსწრე სრულუფლებიან წევრთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ 4 ხმისა. ორგანიზაციის წევრის, გამგეობის წევრის ან აღმასრულებელი დირექტორის მიღების/არჩევის საკითხზე კანდიდატების კენჭისყრისას, ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, იმართება დამატებითი კენჭისყრა თანაბარი ხმების მქონე კანდიდატებს შორის;

10. კრებაზე გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში, კრება 1 თვის ვადაში მოიწვევა თავიდან.

11. ერთსა და იმავე საკითხზე 2 კრებაზე ხმების გაყოფის შემთხვევაში, მე-2 კრებაზე, სრულუფლებიანი წევრების კენჭისყრის შემდეგ, ტარდება ახალი კენჭისყრა,

რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ ასოცირებული წევრებიც და გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით. ამ პუნქტით გათვალისწინებული კენჭისყრის წესი არ ვრცელდება სრულუფლებიანი წევრის მიღების/გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების, გამგეობის ახალი წევრის და აღმასრულებელი დირექტორის არჩევის პროცედურაზე.

12. იმ შემთხვევაში, როდესაც წევრები, 2 საერთო კრებაზე ვერ ახერხებენ გამგეობის ახალი წევრის არჩევის ან ამ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ორგანიზაციის წევრის მიღების (თუ მოქმედი წევრების რაოდენობა ნაკლებია წესდებით დადგენილზე) ან აღმასრულებელი დირექტორის არჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი, გამგეობის ახალი წევრი ან აღმასრულებელი დირექტორი მიიღება/აირჩევა შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, დამფუძნებლების მიერ წარდგენილი ორ-ორი კანდიდატისგან. სრულუფლებიანი წევრის გარიცხვის საკითხის განხილვისას ეს წესი არ მოქმედებს და შესაბამისი გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული გამგეობის ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სრულუფლებიანი წევრების მიერ.

13. სრულუფლებიან წევრს უფლება აქვს, საერთო კრებაში მონაწილეობა მიიღოს ტელეკომუნიკაციების საშუალებით.

14. კრების გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი. სხდომის თავმჯდომარის ან მდივნის მიერ ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, მათ ხელმოწერებს უთანაბრდება დამსწრე სრულუფლებიან წევრთა იმ რაოდენობის ხელმოწერები, რომელიც საკმარისი იყო ხელმოსაწერი გადაწყვეტილების მისაღებად.

15. საერთო კრების ოქმი ორგანიზაციის ყველა წევრს ეგზავნება სავალდებულო წესით, მათ მიერ მითითებულ ელ-ფოსტაზე ან მისამართზე.

10. ორგანიზაციის გამგეობა

1. ორგანიზაციის ხელმძღვანელ (მართვის) ორგანოს წარმოადგენს 7 წევრისაგან შემდგარი გამგეობა, რომლის შემადგენლობაც, 3 წელიწადში ერთხელ განახლდება.

2. გამგეობის პირველი შემადგენლობიდან 2 წევრი აირჩევა 5 წლის ვადით, 2 წევრი - 4 წლის ვადით, ხოლო დანარჩენი 3 წევრი - 3 წლის ვადით. გამგეობის განახლებისას, ყოველი ახალი წევრი აირჩევა 3 წლის ვადით. ამ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გამგეობის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტისას, გამგეობის ახალი

წევრი, რომელმაც მისი ადგილი უნდა დაიკავოს, აირჩევა იმ ვადით, რა ვადაც დარჩენილია გამგეობის გამოკლებული წევრის უფლებამოსილების შესასრულებლად.

3. გამგეობის მოქმედი წევრი, გამგეობის გადაწყვეტილებით, შეიძლება არჩეულ იქნას ხელახალი ვადით, ჯერადობის შეუზღუდავად.

4. გამგეობის წევრებს ირჩევს წევრთა საერთო კრება. გამგეობის წევრები აირჩევა საერთო კრებაზე დამსწრე სრულუფლებიანი წევრების ხმათა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ 5 ხმისა.

5. გამგეობის წევრობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვთ დამფუძნებელსა და ორგანიზაციის წევრებს. თითო წევრს აქვს, მაქსიმუმ, 2 კანდიდატურის დასახელების უფლება.

6. გამგეობის წევრი შეიძლება გახდეს მხოლოდ ორგანიზაციის წევრი იურიდიული პირი. იურიდიული პირი გემგეობის წევრის უფლებამოსილებებს ახორციელებს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ან შესაბამისი უფლებამოსილებით (მინდობილობით) აღჭურვილი სხვა თანამშრომლის მეშვეობით.

7. გამგეობის ახალი წევრის არჩევის მიზნით, გამგეობის კრება უნდა გაიმართოს გამგეობის რომელიმე წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, არანაკლებ 1 თვით ადრე. გამგეობის ახალი წევრის უფლებამოსილება იწყება ყოფილი წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლის ან მისი შეწყვეტის თარიღიდან. გამგეობის წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისას, მისი უფლებამოსილება გრძელდება მანამ, სანამ მის ნაცვლად არ იქნება არჩეული გამგეობის ახალი წევრი.

8. ამ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც საერთო კრება ვერ ირჩევს გამგეობის ახალ წევრს, გამგეობის წევრები აირჩევა შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, დამფუძნებლების მიერ დასახელებული ორ-ორი კანდიდატისგან.

9. გამგეობის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს წევრთა საერთო კრება ან გამგეობა, დამსწრე სრულუფლებიანი წევრების/გამგეობის წევრების ხმათა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ წევთა 5 ხმისა ან გამგეობის წევრთა 4 ხმისა.

10. ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამგეობის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გამგეობა, ხოლო ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შესაბამის

გადაწყვეტილებას იღებს წევრთა საერთო კრება. ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას, კენჭისყრაში არ მონაწილეობს ის წევრი, რომლის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებაც მიიღება გადაწყვეტილება.

11. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, გამგეობის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) მისი განცხადება უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;

ბ) გამგეობის წევრი იურიდიული პირის ლიკვიდაციის რეგისტრაცია;

გ) გამგეობის წევრი იურიდიული პირის სახელმწიფო რეგისტრაციის გაუქმება;

დ) ისეთი გარემოებების არსებობა, რომელიც შეუძლებელს ხდის მის მიერ გამგეობის წევრის უფლებამოსილების განხორციელებას.

ე) საერთო კრების გადაწყვეტილებით, მისი უფლებამოსილების შეწყვეტა.

12. საერთო კრების გადაწყვეტილებით, გამგეობის წევრს, შეიძლება უფლებამოსილება შეუწყდეს ერთ-ერთი ან რამდენიმე შემდეგი გარემოების არსებობისას:

ა) ორგანიზაციის წევრობის შეწყვეტისას;

ბ) ორგანიზაციის ეთიკის კოდექსის მოთხოვნების ხშირი ან უხეში დარღვევის შემთხვევაში;

გ) გამგეობის წევრის უფლებამოსილების ბოროტად ან არაჯეროვნად გამოყენების შემთხვევაში;

დ) გამგეობის ზედიზედ სამ სხდომაში მონაწილეობისგან თავის არიდებისას;

ე) ორგანიზაციის წესდების უხეში დარღვევის შემთხვევაში;

ვ) ორგანიზაციის გამგეობის წევრობასთან შეუთავსებელი საქმიანობისას;

ზ) მის მიერ ისეთი ქმედების განხორციელების შემთხვევაში, რომელიც საფრთხეს უქმნის ორგანიზაციის რეპუტაციას ან ზიანს აყენებს ორგანიზაციასა და მის მიერ წარმოებული საქმიანობას;

თ) თუ გამგეობის წევრი მიზანმიმართულად ცდილობს გამგეობის ან საერთო კრების ჩაშლას ან ხელს უშლის კრების ფუნქციების განხორციელებას;

ი) ორგანიზაციის ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში;

კ) თუ პირი ორგანიზაციის ინტერესების საწინააღმდეგოდ იყენებს მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, რაც აფერხებს ორგანიზაციის გამართულ ფუნქციონირებას.

13. გამგეობის გამოკლებული წევრის ნაცვლად, უახლოეს ან იმავე წევრთა საერთო კრებაზე აირჩევა გამგეობის ახალი წევრი. ამ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამგეობის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტისას, გამგეობის ახალი წევრი, რომელმაც მისი ადგილი უნდა დაიკავოს, აირჩევა იმ ვადით, რა ვადაც დარჩენილია გამგეობის გამოკლებული წევრის უფლებამოსილების შესასრულებლად. ეს პუნქტი არ ეხება გამგეობის განახლების (როტაციის) შემთხვევებს.

14. გამგეობის წევრ ორგანიზაციასთან იმ ფიზიკური პირის შრომითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს გამგეობის წევრ ორგანიზაციას გამგეობის სხდომაზე, აღნიშნულ ფიზიკურ პირს აღარ აქვს უფლება, წარმოადგინოს წევრი. ასეთ შემთხვევაში, გამგეობის წევრი ვალდებულია, შესაბამისი წარმომადგენელი დანიშნოს არაუგვიანეს 1 თვისა.

მუხლი 11. გამგეობის უფლებამოსილება

1. გამგეობა:

ა) ირჩევს გამგეობის თავმჯდომარეს;

ბ) ამტკიცებს ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და საბიუჯეტო პარამეტრებს;

გ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ორგანიზაციის აღმასრულებელ დირექტორს, წყვეტს მისი შრომის ანაზღაურების საკითხს;

დ) წესდების მე-10 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას გამგეობის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;

ე) ისმენს და ამტკიცებს ორგანიზაციის მიერ გაწეული საქმიანობის და ფინანსურ ანგარიშს წევრთა საერთო კრებისთვის წარსადგენად;

№322

ვ) ინიციატივით მიმართავს საერთო კრებას ორგანიზაციის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ საკითხის განხილვის მიზნით;

ზ) უფლებამოსილია, წევრთა საერთო კრებას, ინიციატივის წესით, წარუდგინოს ორგანიზაციის წესდების ცვლილებებისა და დამატებების პროექტი;

თ) უფლებამოსილია შეაჩეროს ან ძალადაკარგულად გამოაცხადოს ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის მიერ მიღებული ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და წინამდებარე წესდებას;

ი) უფლებამოსილია, მოიწვიოს წევრთა საერთო კრება. კრების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ, არანაკლებ 2 კვირით ადრე, აცნობებს ორგანიზაციის წევრებს;

კ) შეიმუშავებს და დასამტკიცებლად საერთო კრებას წარუდგენს ორგანიზაციის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს;

ლ) ზედამხედველობს ორგანიზაციის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების მართვას;

მ) წყვეტს ორგანიზაციის კოალიციებში, რეგისტრირებულ ორგანიზაციებში წევრობისა და იურიდიული პირის დაფუძნებაში მონაწილეობის საკითხს;

ნ) საჭიროების შემთხვევაში, გამგეობის სხდომებზე იწვევს და ისმენს ორგანიზაციის ნებისმიერი თანამშრომლის, პროგრამების/პროექტების ხელმძღვანელების, ორგანიზაციის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების, ორგანიზაციის ფილიალებისა და წარმომადგენლობების ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების ანგარიშებს;

ო) აღმასრულებელი დირექტორის წარდგინებით, ამტკიცებს ორგანიზაციის ორგანიზაციულ სტრუქტურას და სამუშაოს ფარგლებს თითოეული პოზიციისთვის;

პ) ფარული კენჭისყრით, წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით, თანამდებობიდან ათავისუფლებს ორგანიზაციის აღმასრულებელ დირექტორს, წინამდებარე წესდების მე-10 მუხლის მე-11 ან მე-12 პუნქტით განსაზღვრული რომელიმე პირობის დადგომის შემთხვევაში ან მისი გარდაცვალების, გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადების ან მის მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევებში;

ჟ) ზრუნავს ორგანიზაციის შესახებ ცნობადობის გაზრდაზე, მისი იმიჯის ჩამოყალიბებაზე დონორებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან, მედიასთან,

ბიზნესთან; ასევე, ზრუნავს ორგანიზაციის მენეჯმენტის ხელშეწყობაზე ფონდების მოძიებისათან დაკავშირებით.

რ) ახორციელებს წინამდებარე წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ განეკუთვნება წევრთა საერთო კრებისა და სხვა მმართველი ორგანოების კომპეტენციას.

მუხლი 12. გამგეობის თავმჯდომარე

1. გამგეობის საქმიანობას ხელმძღვანელობს გამგეობის თავმჯდომარე, რომელსაც თავისი შემადგენლობიდან (გამგეობის წევრი იურიდიული პირების წარმომადგენლებისაგან) გამგეობის დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ 4 ხმისა, 3 (სამი) წლის ვადით ირჩევს გამგეობა. გამგეობის თავმჯდომარის გადადგომის, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან მის მიერ წინამდებარე წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილებების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, გამგეობა ირჩევს ახალ თავმჯდომარეს.

2. გამგეობის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს გამგეობის საქმიანობას;

ბ) იწვევს და ხელმძღვანელობს გამგეობის მორიგ და რიგგარეშე სხდომებს;

გ) წინამდებარე წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით შეითავსებს ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილებებს;

დ) ხელმძღვანელობს გამგეობის საქმიანობას, ადგენს გამგეობის სხდომების დღის წესრიგს და უძღვება გამგეობის სხდომებს;

ე) ასრულებს წინამდებარე წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

ვ) აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნამდე ასრულებს მის ფუნქციებს;

მუხლი 13. გამგეობის სხდომა

1. გამგეობის მორიგი სხდომები მოიწვევა გამგეობის თავმჯდომარის მიერ წელიწადში არანაკლებ ორჯერ მაინც. გამგეობის რიგგარეშე სხდომის მოწვევის ინიციატივის მქონე პირთა წერილობითი მოთხოვნით, აგრეთვე როცა ამას მოითხოვს

ორგანიზაციის ინტერესები, შეიძლება მოწვეულ იქნეს გამგეობის რიგგარეშე სხდომა. ამ წესდებით გათვალისწინებული წესით რიგგარეშე სხდომის მოწვევის შემთხვევაში, გამგეობა ვალდებულია შეიკრიბოს 1 კვირის ვადაში.

2. გამგეობის რიგგარეშე სხდომის მოწვევის ინიციატივის უფლება აქვს:

ა) გამგეობის თავმჯდომარეს;

ბ) ორგანიზაციის აღმასრულებელ დირექტორს;

გ) გამგეობის წევრს;

დ) ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრს;

ე) ორგანიზაციის მრჩეველთა საბჭოს.

3. გამგეობის თავმჯდომარის გადადგომის, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან მის მიერ წინამდებარე წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილებების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, გამგეობის სხდომას მოიწვევს და თავმჯდომარეობს გამგეობის უხუცესი წევრი.

4. თუ წინამდებარე წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, გამგეობა გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება გამგეობის მოქმედ წევრთა უმრავლესობა, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ, არანაკლებ 3 ხმისა.

5. გამგეობის სხდომაზე, გამგეობის წევრები მოიწვევიან წერილობით, ფოსტით ან ელ-ფოსტით ან ფაქსით შეტყობინების საფუძველზე. შეტყობინება უნდა შეიცავდეს დღის წესრიგით გათვალისწინებულ განსახილველ საქმეთა ჩამონათვალს.

6. გამგეობის მიერ ჩატარებული თითოეული სხდომის შემდეგ დგება ოქმი, რომელზედაც აუცილებელია სხდომის თავმჯდომარის და სხდომის მდივნის ხელმოწერა.

## 14. ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი

1. გამგეობის გადაწყვეტილებათა აღსრულება, ორგანიზაციის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრება 3 წლის ვადით არჩეულ აღმასრულებელ დირექტორს. გამგეობის გადაწყვეტილებით, ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის

თანამდებობა შეიძლება შეითავსოს გამგეობის თავმჯდომარემ ან გამგეობის რომელიმე წევრმა.

2. აღმასრულებელი დირექტორი ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას მესამე პირებთან ურთიერთობაში ახორციელებს ერთპიროვნულად.

3. ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი ანგარიშვალდებულია და პასუხისმგებელია გამგეობის წინაშე.

4. ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი:

ა) ახორციელებს ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას;

ბ) უზრუნველყოფს ორგანიზაციის საწესდებო მიზნების განხორციელებას და გამგეობისა და წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებათა აღსრულებას;

გ) ახორციელებს ორგანიზაციის ფინანსური სახსრებისა და სხვა ქონების მართვას და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე;

დ) ხელს აწერს ორგანიზაციის ოფიციალურ, მათ შორის, საფინანსო დოკუმენტებს, გამოსცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს, რომელიც სავალდებულოა ორგანიზაციის ყველა თანამშრომელისათვის;

ე) იღებს გადაწყვეტილებებს ორგანიზაციის ფილიალებისა და წარმომადგენლობების შექმნის შესახებ, ამტკიცებს მათ დებულებებს, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მათ ხელმძღვანელებს;

ვ) შეიმუშავებს ორგანიზაციის ორგანიზაციულ სტრუქტურას, შრომის შინაგანაწესს და საშტატო განრიგს და დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობას;

ზ) განსაზღვრავს ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და საერთო კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას;

თ) შეიმუშავებს და ამტკიცებს ორგანიზაციის შრომით პოლიტიკას, სამუშაოზე იღებს და ათავისუფლებს ორგანიზაციის თანამშრომლებს, განსაზღვრავს თანამშრომელთა სახელფასო განაკვეთების ოდენობას;

ი) ორგანიზაციის სახელით დებს ხელშეკრულებებს და გასცემს მინდობილობებს;

კ) ორგანიზაციის სახელით ხსნის და ხურავს საბანკო ანგარიშებს;

ლ) ამტკიცებს ორგანიზაციის ემბლემას, ლოგოტიპს და სხვა სიმბოლოებს;

მ) გამგეობას წარუდგენს წლიურ პროგრამულ და ფინანსურ ანგარიშებს;

ნ) უზრუნველყოფს ორგანიზაციის საბუღალტრო საქმეების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისად წარმოებას;

ს) ახორციელებს ორგანიზაციის პოლიტიკას;

ტ) გაწეული საქმიანობის შესახებ 6 თვეში ერთხელ აბარებს გამგეობას ფინანსურ და სხვა ანგარიშებს;

უ) ახორციელებს სახსრების მოზიდვისკენ მიმართულ საქმიანობას და წარმართავს ურთიერთობებს დონორ ორგანიზაციებთან;

ფ) ორგანიზაციის სახელით დებს ხელშეკრულებებს, მათ შორის, პროექტთან/პროგრამებთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ქ) წარმოადგენს თანამშრომელთა ინტერესებს გამგეობის და წევრთა საერთო კრების წინაშე;

ღ) ზრუნავს ორგანიზაციის შესახებ ცნობადობის გაზრდაზე, მისი იმიჯის ჩამოყალიბებაზე დონორებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან, მედიასთან, ბიზნესთან; ასევე, ზრუნავს ორგანიზაციის მენეჯმენტის ხელშეწყობაზე ფონდების მოძიებისათან დაკავშირებით.

ყ) იძიებს სახსრებს, ფონდებს ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად.

შ) ასრულებს ყველა იმ ფუნქციას, რომელიც ემსახურება ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებს და არ განეკუთვნება საერთო კრების ან/და გამგეობის კომპეტენციას.

5. აღმასრულებელ დირექტორთან იდება შრომითი ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერს გამგეობის თავმჯდომარე ან გამგეობის წევრები.

6. ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის გადადგომის, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან მის მიერ წინამდებარე წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილებების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებებს დროებით ასრულებს გამგეობის თავმჯდომარე ან გამგეობის მიერ დანიშნული სხვა პირი.

7. ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილება შეიძლება შეიზღუდოს გამგეობის გადაწყვეტილებით, თუ იგი არღვევს საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების მოთხოვნებს.

8. ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის გადაწყვეტილებით, შეიძლება შემოღებული იქნეს დირექტორის მოადგილის თანამდებობა, რომელიც აღმასრულებელი დირექტორის დავალებით ასრულებს განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

15. ორგანიზაციის მრჩეველთა საბჭო

1. ორგანიზაციის საკონსულტაციო ორგანოს წარმოადგენს მრჩეველთა საბჭო, რომლის შექმნისა და წევრთა რაოდენობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს წევრთა საერთო კრება.

2. მრჩეველთა საბჭოს წევრი და თავმჯდომარე აირჩევა საერთო კრების მიერ 3 წლის ვადით.

3. მრჩეველთა სამჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს და მის მიერ დასმული (ინიცირებული) საკითხი შეიტანება საერთო კრების მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

4. მრჩეველთა საბჭოს სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება მოქმედ წევრთა უმრავლესობა, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

5. მრჩეველთა საბჭოს სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნეს დამფუძნებლის, სრულუფლებიანი წევრის ან ასოცირებული წევრების 25 %-ის ინიციატივით.

თავი III. ორგანიზაციის ქონება, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუხლი 16. ორგანიზაციის ქონება

1. ორგანიზაციის ქონების ფორმირების წყაროებია:

ა) დამფუძნებლის მიერ გადაცემული საწყისი ქონება;

ბ) გრანტები და შემოწირულობები;

გ) დამხმარე ეკონომიკური/სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავლები;

დ) ორგანიზაციის მონაწილეობით შექმნილი საწარმოებიდან მიღებული შემოსავლები;

ე) სხვა შემოსავლები, რომლებიც არ არის აკრძალული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

2. ორგანიზაციის ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მის საწესდებო მიზნებს. დაუშვებელია ორგანიზაციის ქონების განაწილება დამფუძნებლებს, წევრებს და გამგეობის წევრებს შორის.

მუხლი 17. ორგანიზაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. ორგანიზაციის რეორგანიზაცია ხდება წინამდებარე წესდებით დადგენილი წესით, საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით.

2. ორგანიზაციის ლიკვიდაცია ხდება:

ა) ორგანიზაციის საერთო კრების გადაწყვეტილებით;

ბ) გადახდისუუნარობის შემთხვევაში;

გ) სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე;

დ) რეგისტრაციის გაუქმებისას.

ე) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

3. ორგანიზაციის ლიკვიდაციას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ახორციელებს ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი, თუ კანონით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი/გადაწყვეტილი.

4. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილნი არიან:

ა) ორგანიზაციის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო იურიდიული პირები;

№322

ზ) მსგავსი მიზნებისა და საქმიანობის მქონე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები.

5. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ორგანიზაციის დამფუძნებლებს, წევრებს და ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

**ხელმოწერები:**

ა(ა)იპ საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია (ს/კ 404489709), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის - ირინა მანიას (პ/ნ 01017027986) სახით;

ირინა მანია ი. მანია

შპს ავტო ლაიფი, (ს/კ 212918896), წარმოდგენილი მისი დირექტორის - გიორგი არსენიძის (პ/ნ 60002019711) სახით;

გიორგი არსენიძე

შპს სოციალური საწარმო ფარშევანგი (ს/კ 412700279), წარმოდგენილი მინდობილი პირის ლია კილაძის (პ/ნ 62001008687) სახით;

შპს სოციალური საწარმო იკორთა (ს/კ 436037352) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა ჩქარეულის (პ/ნ 061001001567) სახით;

ნანა ჩქარეული

ა(ა)იპ რეალური ცვლილებებისთვის (ს/კ 405072745) წარმოდგენილი მისი დირექტორის ლია ტაბატაძეს (პ/ნ 01011031777) სახით; ლია ტაბატაძე ლ. ტაბატაძე

ა(ა)იპ სოციალურ საწარმოთა და მეწარმეთა ასოციაცია (ს/კ 404493204), წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის კოტე სვანაძის (პ/ნ 01017019399) სახით;

კოტე სვანაძე

ა(ა)იპ ფონდი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, (ს/კ 204873618) წარმოდგენილი მინდობილი პირის ეკა დათუაშვილის (პ/ნ 01026000874) სახით.

ე. დათუაშვილი ეკა დათუაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №322
თარიღი 07 ნოემბერი 2016წ.
ფურც. რაოდენობა 23 ხელმოწერა

თბილისი 7 ნოემბერი, 2016 წელი

ა(ა)იპ სოციალურ საწარმოთა ალიანსის

გამგეობის სხდომის

ოქმი #1

2016 წლის 7 ნოემბერს შედგა ა(ა)იპ ,,სოციალურ საწარმოთა ალიანსის'' გამგეობის სხდომა შემდეგი წევრების მონაწილეობით:

1. ა(ა)იპ საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია (ს/კ 404489709), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის - ირინა მანიას (პ/ნ 01017027986) სახით;
2. შპს ავტო ლაიფი, (ს/კ 212918896), წარმოდგენილი მისი დირექტორის - გიორგი არსენიძის (პ/ნ60002019711) სახით;
3. შპს 'სოციალური საწარმო ფარშევანგი' ( ს/კ 412700279), წარმოდგენილი მინდობილი პირის ლია კილაძის (პ/ნ 62001008687) სახით;
4. შპს სოციალური საწარმო იკორთა (ს/კ 436037352) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა ჩქარეულის (პ/ნ 061001001567) სახით;
5. ა(ა)იპ რეალური ცვლილებებისთვის (ს/კ 405072745) წარმოდგენილი მისი დირექტორის ლია ტაბატაძეს (პ/ნ 01011031777) სახით;
6. ა(ა)იპ სოციალურ საწარმოთა და მეწარმეთა ასოციაცია (ს/კ404493204), წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის კოტე სვანაძის (პ/ნ 01017019399) სახით;
7. ა(ა)იპ ფონდი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, (ს/კ 204873618) წარმოდგენილი მინდობილი პირის ეკა დათუაშვილის (პ/ნ 01026000874) სახით.

განსახილველ საკითხს წარმოადგენდა ა(ა)იპ ,,სოციალურ საწარმოთა ალიანსის'' (შემდგომში, ასევე ორგანიზაცია) გამგეობის თავჯდომარისა და აღმასრულებელი დირექტორის არჩევა.

გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე წარდგენილი იყო, გამგეობის წევრი იურიდიული პირის - შპს სოციალური საწარმო იკორთა (ს/კ 436037352) - დირექტორი ნანა ჩქარეული (პ/ნ 061001001567).

კანდიდატებმა წარმოადგინა თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში ორგანიზაციის განვითარების გეგმა და ინფორმაცია სავარაუდო ღონისძიებების შესახებ.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის განხილვისა და დამაზუსტებელი კითხვების დასმის შემდეგ, ორგანიზაციის გამგეობის წევრებმა, ფარული კენჭისყრით, კენჭი უყარეს ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარედ ფ/პ ნანა ჩქარეულის 3 წლის ვადით არჩევას.

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა, გამოთქვა თანხმობა გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობის დაკავებაზე.

კენჭისყრის შედეგად, მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება :

**არჩეულ იქნას ფ/პ ნანა ჩქარეული ა(ა)იპ ,,სოციალურ საწარმოთა ალიანსის'' გამგეობის თავმჯდომარედ 3 წლის ვადით.**

გამგეობის თავმჯდომარის არჩევის შემდეგ, ორგანიზაციის გამგეობის წევრებმა განიხილეს ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნის (არჩევის) საკითხი.

ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე წარდგენილი იყო, ქალბატონი სალომე ხუციშვილი (01024062370).

კანდიდატებმა წარმოადგინა თანამდებობაზე დანიშვნის (არჩევის) შემთხვევაში ორგანიზაციის განვითარების გეგმა და ინფორმაცია სავარაუდო ღონისძიებების შესახებ.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის განხილვისა და დამაზუსტებელი კითხვების დასმის შემდეგ, ორგანიზაციის გამგეობის წევრებმა, ფარული კენჭისყრით, კენჭი უყარეს ორგანიზაციის აღმასრულებელ დირექტორად სალომე ხუციშვილის (პ/ნ 01024062370) 3 წლის ვადით დანიშვნის (არჩევის) საკითხს.

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე წარდგენილმა კანდიდატმა გამოთქვა თანხმობა ა(ა)იპ „სოციალურ საწარმოთა ალიანსის“ აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობის დაკავების შესახებ.

კენჭისყრის შედეგად, მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება :

დანიშნულ იქნას ფ/პ სალომე ხუციშვილი (პ/ნ01024062370) ა(ა)იპ „სოციალურ საწარმოთა ალიანსის“ აღმასრულებელ დირექტორად 3 წლის ვადით.

ხელმოწერები:

1. გამგეობის წევრი ა(ა)იპ საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია (ს/კ 404489709), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის - ირინა მანიას (პ/ნ 01017027986) სახით;
2. გამგეობის წევრი შპს ავტო ლაიფი (ს/კ 212918896), წარმოდგენილი მისი დირექტორის - გიორგი არსენიძის (პ/ნ 60002019711) სახით;
3. გამგეობის წევრი შპს სოციალური საწარმო ფარშევანგი (ს/კ 412700279), წარმოდგენილი მინდობილი პირის ლია კილაძის (პ/ნ 62001008687) სახით;
4. გამგეობის წევრი შპს სოციალური საწარმო იკორთა (ს/კ 436037352), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა ჩქარეულის (პ/ნ 06100101567) სახით;
5. გამგეობის წევრი ა(ა)იპ რეალური ცვლილებებისთვის (ს/კ 405072745), წარმოდგენილი მისი დირექტორის ლია ტაბატაძის (პ/ნ 01011031777) სახით;
6. გამგეობის წევრი ა(ა)იპ სოციალურ საწარმოთა და მეწარმეთა ასოციაცია (ს/კ 404493204), წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის კოტე სვანაძის (პ/ნ 01017019399) სახით;
7. გამგეობის წევრი ა(ა)იპ ფონდი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (ს/კ 204873618), წარმოდგენილი მინდობილი პირის ეკა დათუაშვილის (პ/ნ 01026000874) სახით;
8. ფ/პ სალომე ხუციშვილი (პ/ნ 01024062370)

№322

თარიღი 07 2016წ.

თბილისი 7 ნოემბერი, 2016 წელი

ა(ა)იპ სოციალურ საწარმოთა ალიანსის

წევრთა საერთო კრების

ოქმი #1

2016 წლის 7 ნოემბერს შედგა ა(ა)იპ „სოციალურ საწარმოთა ალიანსის" (შემდგომში, ასევე „ორგანიზაცია") წევრთა საერთო კრება შემდეგი სრულუფლებიანი წევრების მონაწილეობით:

1. ა(ა)იპ საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია (ს/კ 404489709), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის - ირინა მანიას (პ/ნ 01017027986) სახით;
2. შპს ავტო ლაიფი (ს/კ 212918896), წარმოდგენილი მისი დირექტორის - გიორგი არსენიძის (პ/ნ 60002019711) სახით;
3. შპს სოციალური საწარმო ფარშევანგი (ს/კ 412700279), წარმოდგენილი მინდობილი პირის ლია კილაძის (პ/ნ 62001008687) სახით;
4. შპს სოციალური საწარმო იკორთა (ს/კ 436037352), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა ჩქარეულის (პ/ნ 061001001567) სახით;
5. ა(ა)იპ რეალური ცვლილებებისთვის (ს/კ 405072745), წარმოდგენილი მისი დირექტორის ლია ტაბატაძის (პ/ნ 01011031777) სახით;
6. ა(ა)იპ სოციალურ საწარმოთა და მეწარმეთა ასოციაცია (ს/კ 404493204), წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის კოტე სვანაძის (პ/ნ 01017019399) სახით;
7. ა(ა)იპ ფონდი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (ს/კ 204873618), წარმოდგენილი მინდობილი პირის ეკა დათუაშვილის (პ/ნ 01026000874) სახით.

განსახილველ საკითხს წარმოადგენდა ა(ა)იპ სოციალურ საწარმოთა ალიანსის გამგეობის წევრების არჩევა. გამგეობის წევრებად წარდგენილნი იყვნენ შემდეგი იურიდიული პირები:

1. ა(ა)იპ საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია (ს/კ 404489709);
2. შპს ავტო ლაიფი, (ს/კ 212918896);
3. შპს სოციალური საწარმო ფარშევანგი ( ს/კ 412700279);
4. შპს სოციალური საწარმო იკორთა (ს/კ 436037352);
5. ა(ა)იპ რეალური ცვლილებებისთვის (ს/კ 405072745);
6. ა(ა)იპ სოციალურ საწარმოთა და მეწარმეთა ასოციაცია (ს/კ 404493204);
7. ა(ა)იპ ფონდი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, (ს/კ 204873618).

საჯარო რეესტრ...
თარიღი

ორგანიზაციის გამგეობის წევრობის კანდიდატი იურიდიული პირების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს გამგეობის წევრად არჩევის შემთხვევაში ორგანიზაციის განვითარების გეგმა და ინფორმაცია სავარაუდო ღონისძიებების შესახებ.

კანდიდატი იურიდიული პირის წარმომადგენელთა მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის განხილვისა და დამაზუსტებელი კითხვების დასმის შემდეგ, ორგანიზაციის დამსწრე სრულუფლებიანმა წევრებმა, ფარული კენჭისყრით, კენჭი უყარეს ორგანიზაციის გამგეობის წევრად ა(ა)იპ საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაციის (ს/კ 404489709) და ა(ა)იპ ფონდი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (ს/კ 204873618), 5 წლის ვადით არჩევას,

შპს სოციალური საწარმო ფარშევანგის (ს/კ 412700279) და შპს სოციალური საწარმო იკორთას (ს/კ 436037352) 4 წლის ვადით არჩევას და

შპს ავტო ლაიფის (ს/კ 212918896), ა(ა)იპ სოციალურ საწარმოთა და მეწარმეთა ასოციაციის (ს/კ404493204) და ა(ა)იპ რეალური ცვლილებებისთვის (ს/კ 405072745) 3 წლით არჩევას.

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

კენჭისყრის შედეგად, მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება :

1. ა(ა)იპ საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია (ს/კ 404489709), არჩეულ იქნას ორგანიზაციის გამგეობის წევრად 5 წლის ვადით;
2. შპს ავტო ლაიფი, (ს/კ 212918896), არჩეულ იქნას ორგანიზაციის გამგეობის წევრად 3 წლის ვადით;
3. შპს სოციალური საწარმო ფარშევანგი (ს/კ 412700279), არჩეულ იქნას ორგანიზაციის გამგეობის წევრად 4 წლის ვადით;
4. შპს სოციალური საწარმო იკორთა (ს/კ 436037352), არჩეულ იქნას ორგანიზაციის გამგეობის წევრად 4 წლის ვადით;
5. ა(ა)იპ რეალური ცვლილებებისთვის (ს/კ 405072745), არჩეულ იქნას ორგანიზაციის გამგეობის წევრად 3 წლის ვადით;
6. ა(ა)იპ სოციალურ საწარმოთა და მეწარმეთა ასოციაცია (ს/კ404493204), არჩეულ იქნას ორგანიზაციის გამგეობის წევრად 3 წლის ვადით;
7. ა(ა)იპ ფონდი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, (ს/კ 204873618), არჩეულ იქნას ორგანიზაციის გამგეობის წევრად 5 წლის ვადით.

№322
ხელმოწერა ......

ხელმოწერები:

1. ა(ა)იპ საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაციის (ს/კ 404489709), აღმასრულებელი დირექტორი - ირინა მანია (პ/ნ 01017027986)

2. შპს ავტო ლაიფის (ს/კ 212918896) დირექტორი - გიორგი არსენიძე (პ/ნ 60002019711)

3. შპს სოციალური საწარმო ფარშევანგის (ს/კ 412700279), - მინდობილი პირი ლია კილაძე (პ/ნ 62001008687)

4. შპს სოციალური საწარმო იკორთას (ს/კ 436037352) - დირექტორი ნანა ჩქარეული (პ/ნ 061001001567)

5. ა(ა)იპ რეალური ცვლილებებისთვის (ს/კ 405072745) დირექტორი - ლია ტაბატაძე (პ/ნ 01011031777)

6. ა(ა)იპ სოციალურ საწარმოთა და მეწარმეთა ასოციაციის (ს/კ 404493204), პრეზიდენტი კოტე სვანაძე (პ/ნ 01017019399)

7. ა(ა)იპ ფონდი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (ს/კ 204873618) მინდობილი პირის ეკა დათუაშვილი (პ/ნ 01026000874)

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №322
თარიღი "07" ნოემბერი 2016წ.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
CENTRE FOR STATEGIC RESEARCH AND DEVELOPMENT OF GEORGIA
ჩვენ 20 წლის ვართ | CSRDG is 20 years old

2-924

# მინდობილობა

7/11/2016

მე, ეკა ურუშაძე (პ.ნ.01018003474) ა(ა)იპ ფონდი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, ვაძლევ წინამდებარე მინდობილობას ამავე ორგანიზაციის გამგეობის წევრსა და სოციალური მეწარმეობის განვითარების პროგრამის მენეჯერს - ეკა დათუაშვილს (პ.ნ.01026000874), მასზედ, რომ მას მიენიჭოს სრული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე მხარესთან, კერძოდ ,,სოციალურ საწარმოთა ალიანსთან ურთიერთობებში''. მათ შორის, ხელი მოაწეროს, ,,სოციალურ საწარმოთა ალიანსის'' დამფუძნებელთა შეთანხმებას (წესდებას) ა(ა)იპ ფონდ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის სახელით, წარმოადგინოს იგი ,,სოციალურ საწარმოთა ალიანსის'' წევრთა საერთო კრებაზე, მის გამგეობის სხდომაზე, ხელი მოაწეროს აღნიშნული კრებისა და გამგეობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და განახორციელოს ,,სოციალურ საწარმოთა ალიანსის'' წესდებით სრულუფლებიანი წევრისათვის და გამგეობის წევრისათვის გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

პატივისცემით,

აღმასრულებელი დირექტორი

ეკა ურუშაძე

ქ. თბილისი, 0177, დელისის I შესახვევი 5ა
ტელ/ფაქსი: (995 32) 2399019, 2399018 ელ.ფოსტა: office@csrdg.ge http://www.csrdg.ge
5a Delisi 1st Lane., 0177 Tbilisi / Georgia
Tel./Fax: (995 32) 2399019, 2399018 E-mail: office@csrdg.ge http://www.csrdg.ge

| | |
|---|---|
| პირადი ნომერი | 60002019711 |
| სახელი | **გიორგი** |
| მამის სახელი | ელვარდის |
| გვარი | **არსენიძე** |
| დაბადების თარიღი | 1984-10-07T00:00:00 |
| დაბადების ადგილი | საქართველო, ტყიბული |
| მისამართი | **ქუთაისი ვ.ბაგრატიონის ქ. N 35** |
| პირადობის მოწმობის სერია | 11IA08660 |
| მოწმობის გამცემი ორგანო | იუსტიციის სამინისტრო |
| გაცემის თარიღი | 2011-08-30T00:00:00 |
| მოქმედების ვადა | 2021-08-30T00:00:00 |
| მოქალაქეობა | საქართველო |
| ორმაგი მოქალაქეობა | () |
| რეგ. თარიღი | 2000-12-22T00:00:00 |
| სტატუსი | აქტიური |
| ფოტოები |  |



| | |
|---|---|
| პირადი ნომერი | 06001001567 |
| სახელი | **ნანა** |
| მამის სახელი | გურამი |
| გვარი | **ჩქარეული** |
| დაბადების თარიღი | 1977-11-19T00:00:00 |
| დაბადების ადგილი | საქართველო, თიანეთი |
| მისამართი | **ახალგორი ი.ჭავჭავაძის ქ. N 8** |
| პირადობის მოწმობის სერია | 13IA31970 |
| მოწმობის გამცემი ორგანო | იუსტიციის სამინისტრო |
| გაცემის თარიღი | 2013-06-08T00:00:00 |
| მოქმედების ვადა | 2023-06-08T00:00:00 |
| მოქალაქეობა | საქართველო |
| ორმაგი მოქალაქეობა | () |
| რეგ. თარიღი | 2002-12-11T00:00:00 |
| სტატუსი | აქტიური |
| ფოტოები |  |





| | |
|---|---|
| პირადი ნომერი | 01011031777 |
| სახელი | **ლია** |
| მამის სახელი | ანდრო |
| გვარი | **ტაბატაძე** |
| დაბადების თარიღი | 1982-07-01T00:00:00 |
| დაბადების ადგილი | საქართველო, თბილისი |
| მისამართი | **თბილისი ბერი გაბრიელ სალოსის VI შეს. N 3 ბ. 18** |
| პირადობის მოწმობის სერია | 15IE04692 |
| მოწმობის გამცემი ორგანო | იუსტიციის სამინისტრო |
| გაცემის თარიღი | 2016-08-03T00:00:00 |
| მოქმედების ვადა | 2026-08-03T00:00:00 |
| მოქალაქეობა | საქართველო |
| ორმაგი მოქალაქეობა | () |
| რეგ. თარიღი | 2000-07-07T00:00:00 |
| სტატუსი | აქტიური |
| ფოტოები |  |





| | |
|---|---|
| პირადი ნომერი | 01017019399 |
| სახელი | **კოტე** |
| მამის სახელი | ტარიელი |
| გვარი | **სვანაძე** |
| დაბადების თარიღი | 1982-10-24T00:00:00 |
| დაბადების ადგილი | საქართველო, მცხეთა |
| მისამართი | **თბილისი მ.ლაღიძის ქ. N 4** |
| პირადობის მოწმობის სერია | 15IA16271 |
| მოწმობის გამცემი ორგანო | იუსტიციის სამინისტრო |
| გაცემის თარიღი | 2016-01-22T00:00:00 |
| მოქმედების ვადა | 2026-01-22T00:00:00 |
| მოქალაქეობა | საქართველო |
| ორმაგი მოქალაქეობა | () |
| რეგ. თარიღი | 2000-06-06T00:00:00 |
| სტატუსი | **აქტიური** |
| ფოტოები |  |





| | |
|---|---|
| პირადი ნომერი | 01017027986 |
| სახელი | **ირინა** |
| მამის სახელი | მიხეილი |
| გვარი | **მანია** |
| დაბადების თარიღი | 1987-07-29T00:00:00 |
| დაბადების ადგილი | საქართველო, თბილისი |
| მისამართი | **თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 2/2** |
| პირადობის მოწმობის სერია | 12IA98361 |
| მოწმობის გამცემი ორგანო | იუსტიციის სამინისტრო |
| გაცემის თარიღი | 2012-08-29T00:00:00 |
| მოქმედების ვადა | 2022-08-29T00:00:00 |
| მოქალაქეობა | საქართველო |
| ორმაგი მოქალაქეობა | () |
| რეგ. თარიღი | 2004-06-21T00:00:00 |
| სტატუსი | **აქტიური** |
| ფოტოები |  |



| | |
|---|---|
| პირადი ნომერი | 01026000874 |
| სახელი | **ეკა** |
| მამის სახელი | ალექსანდრე |
| გვარი | **დათუაშვილი** |
| დაბადების თარიღი | 1967-03-01T00:00:00 |
| დაბადების ადგილი | საქართველო, თბილისი |
| მისამართი | **საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძეს ქუჩა, N 18, ბინა 17** |
| პირადობის მოწმობის სერია | 13IN90161 |
| მოწმობის გამცემი ორგანო | იუსტიციის სამინისტრო |
| გაცემის თარიღი | 2015-10-30T00:00:00 |
| მოქმედების ვადა | 2025-10-30T00:00:00 |
| მოქალაქეობა | საქართველო |
| ორმაგი მოქალაქეობა | () |
| რეგ. თარიღი | 2015-10-30T11:51:58.45 |
| სტატუსი | აქტიური |
| ფოტოები |  |





| | |
|---|---|
| პირადი ნომერი | 01024062370 |
| სახელი | **სალომე** |
| მამის სახელი | დავითი |
| გვარი | **ხუციშვილი** |
| დაბადების თარიღი | 1989-08-10T00:00:00 |
| დაბადების ადგილი | საქართველო, თბილისი |
| მისამართი | **საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაშლიჯვრის დასახლება, კორპუსი 12, ბინა 44** |
| პირადობის მოწმობის სერია | 13IH59589 |
| მოწმობის გამცემი ორგანო | იუსტიციის სამინისტრო |
| გაცემის თარიღი | 2014-10-29T00:00:00 |
| მოქმედების ვადა | 2024-10-29T00:00:00 |
| მოქალაქეობა | საქართველო |
| ორმაგი მოქალაქეობა | () |
| რეგ. თარიღი | 2006-02-21T00:00:00 |
| სტატუსი | **აქტიური** |
| ფოტოები |  |

